ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 01.01.01

"31" დეკემბერი 2014 წ.

შპს "თბილსერვის ჯგუფი"
შემოსული № 3530
"31" 12 2014

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებისა და შპს „თბილსერვის ჯგუფში" შენატანის განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ", "ვ" და „ზ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის „ა" და „დ" ქვეპუნქტების, 75-ე მუხლის „ე.თ" და „ე.ი" ქვეპუნქტების, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის" (დანართი 3) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, მე-6 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 დადგენილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №206 განკარგულების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზება განხორციელდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის მეშვეობით.

2. დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირს - შპს „თბილსერვის ჯგუფს" (შემდგომში - შპს „თბილსერვის ჯგუფი"):

ა) ორგანიზება გაუკეთოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩებისა, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავებას; მოსახლეობის, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსებას და გაუვნებლობას; ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) განახორციელოს ქ. თბილისის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება, განახორციელოს მონაცემთა ბაზების დროული განახლება (მომხმარებელთა გადამხდელად დარეგისტრირება, არსებულ ბაზებში კორექტირების შეტანა, დარიცხვის შეწყვეტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების

ქ. თბილისი 0160, ქ. მარჯანიშვილი 7, ტელ: (+995 32) 237 81 23, ფაქსი: (+995 32) 237 81 64; www.Tbilisi.gov.ge

შესაბამისად) და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართვის შემთხვევაში, მოახდინოს მოსაკრებლის გადამხდელთათვის დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და ასახოს მონაცემთა ბაზაში;

გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების ამოქმედების დღიდან მიეცეს უფლება შპს „თბილსერვის ჯგუფს" განუწილვადოს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის" (დანართი 1) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ პირებს დადგენილი ვადით;

დ) მიეცეს უფლება შპს ,,თბილსერვის ჯგუფს" დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განუწილვადოს ქ. თბილისის მოსახლეობისთვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანება, არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა;

ე) დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდეს შპს ,,თბილსერვის ჯგუფის" ანგარიშზე;

ვ) დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების თანხაში უზუსტობის შემთხვევაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის (საფასურის) დაზუსტებულ ოდენობას დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრავს შპს ,,თბილსერვის ჯგუფი".

3. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს: ყოველდღიურად, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „თბილსერვის ჯგუფის" კაპიტალში შენატანის განხორციელება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის N18-57 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,დასუფთავების ღონისძიებებისათვის", გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ღონისძიებების შესრულების მიზნით.

5. დაევალოს შპს „თბილსერვის ჯგუფს" წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების შედეგის აღრიცხვა კომპანიის დოკუმენტაციაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს გიორგი სოლომონიას.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — დავით ნარმანია

საქმის ნარმოების ტანსოფილება №2